ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6173182

ნომერი: AR1927763

თარიღი : 10.10.2022

გაცემის თარიღი : 21.10.2022

გაცნობის თარიღი : 21.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 9 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ურუშაძე პ/ნ 01010014276
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 1 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 10 ოქტომბერს №AR1927763 განცხადებით მომართა ბექარ ურუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის

№5741340 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 08 თებერვლის №5279736 ბრძანებით №01.14.05.005.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე.
სამსახურის 2021 წლის 19 აგვისტოს №5557967 ბრძანებით ზემოაღნიშნულ №01.14.05.005.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
ხოლო, სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 24 დეკემბრიდან 2024 წლის 24 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2022 წლის 18 მარტის №5853912 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდა შპს ურუს გრუპი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405453619).
განმცხადებლის განმარტებით აღარ არსებობს სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882022061672; მომზადების თარიღი: 01/02/2022 წ.) 01.14.05.005.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ურუს გრუპი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405453619). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21030086, მომზადების თარიღი: 02/04/2021 წ.), შპს ურუს გრუპის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბექარ ურუშაძე. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
ამასთან, განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, მშენებლობის ეტაპების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი).
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,
ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს ბექარ ურუშაძის 2022 წლის 10 ოქტომბრის №AR1927763 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741340 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.